პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲚᲔᲚᲝ

№ 153 (4147)

1970 წ. 6 აგვისტო, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საკ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფსაკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



როგორც ვიტყოდნენ ადრე, „ბურთი წინათ ინგლისში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, სადაც საბჭოთა სპორტსმენებმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს — მოიპოვეს აბსოლუტური პირველობა როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის.

* * *

სურათებზე: მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონები — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ს. ხავიცკაია და ი. ეგოროვი (ყუიბიშევი).

ლ. პოლიკაშინის ფოტო (აასი-ი).

ᲘᲡᲔᲕ ᲚᲔᲙᲕᲔᲘᲠᲕᲘᲚᲘ!

ᲚᲝᲜᲘᲜᲘ, 5 აგვისტო (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). თინათინ ლეკვეიშვილს ახლა სსრ კავშირში გულადმა მოცურავეთა შორის ბადალი რომ არა ჰყავს, ეს გუშინაც დადასტურდა, როცა 200 მეტრზე მოასპარეზეებმა მედლების განაწილებისთვის დაიწყეს ბრძოლა. თბილისელმა სპორტსმენმა ჯერ კიდევ წინასწარ შეჯიბრებაში დაამარცხა ყველა, ხოლო საღამოს 8 უძლიერესთან ასპარეზობის სტარტიდანვე დაწინაურდა, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები კი მეტოქეებს დაუთმო. შუა დისტანციის შემდეგ ლეკვეიშვილმა კიდევ უფრო უმატა ტემპს. მან როცა დისტანცია დაამთავრა, წამზომებმა სსრ კავშირის ქალთა ახალი რეკორდის დამყარება აღნიშნეს — 2.29,2. ეს, ცხადია, გოგონათა საკავშირო რეკორდიცაა. აღსანიშნავია, რომ ძველი რეკორდებიც (2.29,6) ლეკვეიშვილს ეკუთვნოდა და სულ რაღაც ერთი თვის წინ ქუთაისის „განთიადის“ აუზში იყო ნაჩვენები.

200 მ — 2.29,2

გაცურვის დამთავრების შემდეგ თინათინმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ მისი უახლოესი ამოცანაა ბარსელონაში, ევროპის ჩემპიონატში სპრიზი ადგილისთვის ბრძოლა. წლეულს სტარტზე თერთმეტჯერ გამოვედი და მხოლოდ ერთხელ დავთმე გამარჯვებაო, დასძინა მან.

გუშინ სსრ კავშირის კიდევ ერთი ძველი მიღწევა გაუქმდა: 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 1967 წლიდან რეკორდი (10.02,0) მოსკოველ ტ. სოსნოვას ეკუთვნოდა, აქ კი 15 წლის მოსკოველმა მოსწავლემ ო. კუდაშოვამ წინასწარ ტურნირში 9.58,9 აჩვენა. მისი ეს მიღწევა გოგონათა საკავშირო რეკორდიცაა. მანამდე ამ დისტანციაზე გოგონათა რეკორდის სარეგისტრაციო ნორმატივი 10.02,0 იყო.

ამ დღეს კიდევ ერთი საკავშირო რეკორდი გაუმჯობესდა, ოღონდ ამჯერად მხოლოდ გოგონებისა. მისი ავტორია 15 წლის მოსკოველი ნ. პეტროვა, რომელმაც 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 5.21,3 აჩვენა. ეს პეტროვას მიერ წინასწარ გაცურვაში დამყარებულ რეკორდზე 3,6 წამით უკეთესია. 15 წლის ნოვოსიბირსკელმა ტ. ზოლოტნიცკაიამ გუშინწინ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონობა მოიპოვა და ქვეყნის რეკორდიც დაამყარა, გუშინ კი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში იმარჯვა.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ. 100 მ თავისუფალი სტილით. ზოლოტნიცკაია — 1.02,2, ი. ტერეშინა — 1.02,7, ნ. ბისტროვა (ორივე — მოსკოვი) — 1.03,0; **200 მ გულაღმა.** ლეკვეიშვილი — 2.29,2, ტ. ასტაშკინა (პენზა) — 2.31,1, ლ. კომაროვა (კიევი) — 2.31,9; **400 მ კომპლექსური ცურვა.** ლ. მილენინა (ვოროშილოვგრადი) — 5.21,1, პეტროვა — 5.21,3, ტ. იფანასიევა (სმოლენსკი) — 5.30,4.

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ. 100 მ თავისუფალი სტილით. ლ. ილიჩოვი — 53,4, ვ. ბურე (ორივე — მოსკოვი) — 53,5, გ. კულიკოვი (ხაბაროვსკი) — 53,8; **400 მ კომპლექსური ცურვა.** ა. დუნაევი — 4.48,1, ი. ნიკოლაევი (ორივე — მოსკოვი) — 4.50.9, ა. დანილოვი (ვოლგოგრადი)—4.51,5.



◆ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ, 5 აგვისტო. რსფსრ-ს მძლეოსანთა აქ მიმდინარე ზონალურ შეჯიბრებაში ორიოლელმა პედაგოგმა ვ. ტიხომიროვამ საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველმა გადალახა ხუთჰიდში 5-ათასიანი ზღვარი — 5121 ქულა დააგროვა. 29 წლის სპარტაკელმა ერთბაშად 169 ქულით გადააჭარბა ამ ერთი თვის წინ მის მიერვე დამყარებულ საკავშირო რეკორდს. ტიხომიროვამ ცალკეულ სახეობებში ასეთ შედეგებს მიაღწია: 100 მეტრზე თარჯრბენი — 13,5; 200 მ — 24,4; სიმაღლე — 165; სიგრძე—629; მირთვი — 13,70.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲛᲞᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ... ᲪᲮᲔᲚ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲖᲔ

ᲙᲐᲛᲩᲐᲢᲙᲘᲡ ᲞᲔᲢᲠᲝ�პᲐᲕᲚᲝᲕᲡᲙᲘ, 4 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის ტურისტთა რაზმი პირველად აწყობს მოგზაურობას კამჩატკის ცხელი მდინარეებისა და ჩანჩქერების სანახავად.

ახალი მარშრუტი ძალიან საინტერესოა. იგი მოგზაურებს აცნობს ნახევარკუნძულის თავისებურ ბუნებას და ცხოველთა სამყაროს.

ამას გარდა, ტურისტები ეწვევიან საბჭოთა კავშირში ერთადერთ, მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ციმბირის განყოფილების სითბური ფიზიკის ინსტიტუტის ფრეონულ ელექტროსადგურ-ლაბორატორიას, რომელიც პარატუნსკის ცხელ წყაროებზეა შექმნილი.

მოგზაურობა 14 დღეს გასტანს. მარშრუტი 150 კილომეტრს უდრის.

200 მ

ᲡᲐᲛᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲘ

ამას წინათ ორიოლში გაიმართა იუნიორ მძლეოსანთა საკავშირო პირველობა. ტურნირში საქართველოს სპორტსმენებმა 3 საპრიზო ადგილი მოიპოვეს: 110 მეტრზე თარჯრბენში თბილისის № 1 სპორტსკოლა-ინტერნატის მოსწავლემ ნ. აბუაშვილმა (მწვრთნელი — ი. გოზალიშვილი) საშუალო ასაკის ჭაბუკთა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა (14,0) და 1 ადგილიც დიდი უპირატესობით მოიგო.

გოგონათა შეჯიბრებაში ხაშურელმა მოსწავლემ ნ. ლაბაძემ და თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა რ. ჩუბინიძემ II ადგილები მოიპოვეს. ლაბაძემ ბადრო 42,08 მეტრზე ტყორცნა, ხოლო ჩუბინიძემ — 100 მეტრზე თარჯრბენში 14,7 წამი აჩვენა.

ᲩᲥᲐᲠᲘ ᲥᲐᲜᲐᲚᲘ

● **ᲛᲘᲓᲚᲡᲑᲠᲝ**, 4 აგვისტო. ინგლისის ამ ქალაქში დაიწყო I მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდა მაგიდის ჩოგბურთელთა შორის. წარმატებით აიღეს სტარტი საბჭოთა სპორტსმენებმა: **წინასწარ თამაშებში ჭაბუკებმა დაამარცხეს იტალიის ნაკრები (5:1), ხოლო ქალიშვილებმა — ინგლისის მეორე გუნდი (3:0). შეჯიბრებაში 25 ქვეყნის წარმომადგენლებს მოუყარა თავი (ასპარეზობს ჭაბუკთა 26 და ქალიშვილთა 21 კოლექტივი). ჩემპიონატი 9 აგვისტომდე გასტანს.**

● **ᲑᲠᲘᲐᲜᲡᲙᲘ**, 4 აგვისტო. ადგილობრივი „დენნის“ სტადიონზე მოსულმა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ იხილა ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა სპრინტერი, მეხიკოს ოლიმპიადის მონაწილე ე. სინიავი. ბრიანსკელმა სპორტსმენმა, 22 წლის სინიავემ 100 მ 10,3 წამში გაირბინა. ქალთა შორის ამ მანძილზე ფინიშთან პირველი იყო ასევე ადგილობრივი სპრინტერი ე. ბალაშოვა — 11,6. აქ გამართულ შეჯიბრებაში რუსეთის ჩრდილო-დასავლეთის 13 ოლქის მძლეოსნები მონაწილეობენ.

● **ᲞᲠᲐᲚᲐ, 4 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ.** ალმაათელმა მძლეოსანმა ვ. სოლდატენკომ II ადგილი დაიკავა პოდებრადიდან პრალამდე გამართულ ტრადიციულ 50-კილომეტრიან შეჯიბრებაში, რომელშიც სპორტული სიარულის 54 ოსტატი მონაწილეობდა, მათ შორის — ბულგარეთის, გდრ-ის, რუმინეთისა და სსრ კავშირის 19 მძლეოსანი. რიგით ეს 38-ე ტურნირი ამავე დროს ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატიც იყო. ამრიგად, სოლდატენკომ ამ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა — 4:09.59,6. ფინიშთან პირველი იყო მსოფლიო რეკორდსმენი ამ დისტანციაზე სიარულში კ. ჰიონე (გდრ) — 4:06.10,8. გდრ-ის სპორტსმენებმა გუნდურ ჩათვლაშიც გაიმარჯვეს. საბჭოთა მძლეოსნები II ადგილზე გავიდნენ. პირად ჩათვლაში მოსკოველი ე. ლიუნგინი მეოთხე იყო (4:17.37,4), ხოლო ლენინგრადელი ს. გრიგორიევი — მეექვსე (4:27.55,8).

● **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ**, 4 აგვისტო. გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის მძლეოსანთა მატჩში 19 წლის ხუთჭიდელმა ბ. პოლაკმა 5241 ქულა მოაგროვა, რაც მეორე შედეგია ამ სახეობის ისტორიაში. გერმანელმა მძლეოსანმა იუნიორთა მსოფლიო მიღწევა დაამყარა, რაც „უფროსების“ მსოფლიო რეკორდს (ავსტრიელი ლიზელ პროკოპი — 5352 ქულა) ცოტათი ჩამოუვარდება. ცალკეული სახეობების მიხედვით პოლაკმა ასეთ შედეგებს მიაღწია: *100 მეტრზე თარჯრბენი — 13,5; 200 მ — 24,2; მირთვი — 14,59; სიმაღლე — 174; სიგრძე — 608.*

● **ᲨᲘᲤᲔᲚᲐᲜᲫᲘ**, 4 აგვისტო. ლუჟსემბურგის ამ პატარა დაბაში დაიბადა... იაპონიის ახალი რეკორდი. ლუჟსემბურგელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ევროპაში სტუმრად მყოფმა იაპონელებმაც იასპარეზეს. და აი, ერთ-ერთმა მათგანმა — კ. ინოუემ ჭოკით 516 სმ სიმაღლე გადალახა. ეს ერთი სანტიმეტრით უკეთესია ამომავალი მზის ქვეყნის უწინდელ რეკორდზე..

● **ᲞᲣᲜᲐ**, 4 აგვისტო. ინდოეთის ამ ქალაქის კორტებზე დამთავრდა დევისის თასის გათამაშების მატჩი ინდოეთისა და გფრ-ის ჩოგბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. სტუმრებმა, რომელთა გუნდში, ისევე როგორც სსრ კავშირთან შეხვედრისას, ბუნვერტი და კუნკე თამაშობდნენ, „მშრალი“ ანგარიშით დაამარცხეს მასპინძლები — 5:0.

ᲥᲮᲐᲠᲚᲘ ᲥᲐᲜᲐᲚᲘ

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲘ, 4 აგვისტო. თბილისელი მძლეოსნები აქ ემზადებოდნენ სსრ კავშირის თასის — „იზვესტიის“ პრიზის გათამაშების მორიგი ეტაპისთვის, რომელიც 9-10 აგვისტოს ოდესაში გაიმართება. მათ ლიტველ მძლეოსანთა შეჯიბრებაში სცადეს ძალა. 80 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონმა, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა ლ. ივლევამ (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი) აქ 100 მეტრზე თარჯრბენმი იასპარეზა, 14,1 წამი აჩვენა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. ეს შედეგი მისსავე ძველ რეკორდზე 0,1 წამით უკეთესია.

სიმაღლეზე ხტომაში შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ლიუდმილა გუკმა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. კონსტანტინოვი). ამას წინათ მან 1957 წელს ს. როზანოვას მიერ დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი (165 სმ) გაიმეორა, ახლა კი 168 სმ სიმაღლე დაძლია და სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ტ. სერდიუკოვამ 100 მ 12 წამში, ხოლო 200 მ 25 წამში გაირბინა, ც. ჩოლიაშვილი 596 სმ სიგრძეზე გადახტა, ხოლო ც. ლიპარტელიანმა (ორივე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტია) შუბი 50,86 მეტრზე ტყორცნა.

13 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ფარიკაობის შესახებ

ბოლო დროს ფარიკაობის გულშემატკივრები სულ უფრო ხშირად ჩივიან, რომ სპორტის ამ სახეობის სანახაობრივი სილამაზე საგრძნობლად დაქვეითდა. ეს აზრი სინამდვილეს არ შეეფერება. როგორც ცნობილია, სპორტის ყველა სახეობა და, მათ შორის, ფარიკაობაც განიცდის განვითარებას, სრულყოფილებას. ეს პროცესი, რომელმაც განსაკუთრებით ბოლო წლებში იჩინა თავი, პერმანენტული ხასიათისაა. საკმარისია გამოტოვო ხეზონის რომელიმე მნიშვნელოვანი ასპარეზობა, რომ მხედველობიდან გამოგრჩება ფარიკაობის სამყაროში მომხდარი თვალსაჩინო ძვრები. ფარიკაობა მდიდრდება ტექნიკურ-ტაქტიკური ხერხებით, იგი გაცილებით დინამიკური ხდება, სპორტსმენებისგან მოითხოვს ჩინებულ ფიზიკურ მომზადებას. თანაც ეს კომპონენტები ისეა შერწყმული, რომ უერთმანეთოდ სასურველ ეფექტს ვერ იძლევა.

ერთი სიტყვით, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ეღერდეს ეს სიტყვები, თანამედროვე ფარიკაობა ერთდროულად რთულიც არის და „მარტივიც". რთული რატომაც არის, ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი. სიმარტივე კი იმაში მდგომარეობს, რომ დღევანდელმა ფარიკაობამ საბოლოოდ აიღო ხელი ზედმეტ ხერხებსა და ილეთებზე, ვინაიდან ისინი თანამედროვე გაგებით აშკარად მოძველებულია, როგორც უნდა მოსწონდეს და ხიბლავდეს კინომაყურებელს რომანტიული ფილმები, სადაც შუა საუკუნეების რაინდები და მუშკეტერები თვალისმომჭრელ დუელებს მართავენ, ფარიკაობისთვის, კერძოდ, სპეციალისტებისა და სპორტსმენებისთვის ეკრანზე ნანახი ხერხების უმრავლესობა მიუღებელია.

ფარიკაობამ ძალიან დიდი გზა განვლო, ვიდრე რაინდული ტურნირებიდან ჩვენამდე მოვიდოდა. მისი განვითარება არ წყდება ჩვენს დღეებშიც. პირიქით, როგორც ალვნიშნეთ, ამ პროცესმა განსაკუთრებით ბოლო წლებში იჩინა თავი.

სიმარტივეზე მოგახსენებდით. ეს სიტყვა ზემოთ შემთხვევით არ ჩაგვისვამს წინწყლებში. რა სიმარტივეზე შეიძლება ლაპარაკი, როცა თითოეული ჩხვლეტისა თუ დარტყმის მიყენება წარმოუდგენლად გართულდა? საბოლოო ფაზას, რომელსაც მომგებიანი ქულა მოაქვს, წინ უძღვის ურთულესი ტექნიკურ-ტაქტიკური ხერხები, მაქსიმალური მობილიზაცია გამრავლებული დიდ მონდომებასა და მიზანსწრაფვაზე.

დიახ, ჩვენს დროში გამარჯვება საფარიკაო ბილიკზე ისევე რთულია, როგორც, ვთქვათ, ფეხბურთში. აი, რატომ არის, რომ ის, რაც მაყურებელს ზოგჯერ მარტივად ეჩვენება, სინამდვილეში მეტისმეტად რთული აქტი გახლავთ. მაგალითად, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ამასწინანდელი პირველობის (მოსკოვი) დროს დიდი უურადღებით ვადევნებდი თვალს მსოფლიო ჩემპიონის ვ. ხიდიაკის ორთაბრძოლებს. განმაცვიფრა მისი ბრძოლის მანერის უბრალოებამ და სისადავემ. იგი ერთი შეხედვით ოლიად უგებდა მეტოქეებს, მაგრამ ეს ასე როდი იყო. ხიდიაკი გამოცდილი მონადირის მსგავსად უთვალავ, გამოუცდელი თვალისთვის უხილავ ილეთს მიმართავდა და შესაფერის დროს უცდიდა გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად. როცა იგი საამისო მომენტს პოულობდა, დარტყმის ფაზა ელვისებური და გამჭვირვალე იყო. ამას უკვე ყველა ხედავდა. ასეთი ფრალოების თუ სიმარტივის მიღწევას სჭირდება მრავალი წლის ტატანური შრომა და ვარჯიში, ტექნიკური, ტაქტიკური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური წრთობა. აი, როგორია ამ „მარტივი" ფარიკაობის ფასი. ამ ფარიკაობის დიდ ღირსებებს, მის ესთეტიკურ მხარეს მაყურებელი მხოლოდ მაშინ შეიცნობს და დააფასებს, როცა მისი საფარიკაო ერუდიცია ახევე ღრმა და მრავალმხრივი იქნება.

თანამედროვე ფარიკაობა ძლიერია არა მარტო თავისი ტრადიციული კომპონენტებით, არამედ დახვეწილი კულტურითაც და ინტელექტითაც. საბჭოთა და უცხოურ სპორტულ პრესაში დღევანდელ ფარიკაობას სულ უფრო ხშირად სწორედ ინტელექტის ანუ ტაქტიკური აზროვნების თვალსაზრისით ტობას. როგორ დაიხვეწა საბჭოთა ფარიკაობა ბოლო წლებში! მსოფლიო ფარიკაობის კანონმდებლად ამჟამად უდავოდ ფარიკაობის საბჭოური სკოლა ითვლება.

წლევანდელ ჩემპიონატს, თუ შეიძლება ასე ითქვას, საინტერესო სიუჟეტი ჰქონდა: აღიარებულ ოსტატებს ავიწროებდნენ ახალგაზრდა კოლეგები. ავიღოთ თუნდაც ესპადრონისტთა ტურნირი. ნაზლიმოვი, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ ბრწყინვალედ იასპარეზა ბერლინის საერთაშორისო შეჯიბრებაში, VIII ადგილს დასჯერდა. მელნიკოვი — ტოკიოს ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონი — ფინალშიც კი ვერ გავიდა. საკვირველია? სულაც არა. ჯერ ერთი, ფარიკაობა სპორტის „ჟირვეული" სახეობაა და სტაბილური შედეგების ჩვენება თითქმის შეუძლებელია. მეორეც, რაც ყველაზე მთავარია და სასიხარულო, სწრაფად იზრდება ახალგაზრდა, ნიჭიერი მოფარიკავეების ოსტატობა.

ესპადრონისტთა ტურნირში გაიმარჯვა ვინოკუროვმა (ლენინგრადის სამხედრო ოლქი), რომელსაც თბილისელი მაყურებელი იცნობს შარშან დეკემბერში ჩვენი რეპუბლიკის დედაქალაქში გამართული შეჯიბრებიდან. მისი ოსტატობა კიდევ უფრო დახვეწილა და მსოფლიო სტანდარტის დონეზე დგას. ვინოკუროვმა დამაჯერებლად დაამარცხა ტრადიციული მეტოქეები რაკიტა, სიდიაკი, მავლიხანოვი, ნაზლიმოვი... საინტერესოა, როგორ გადაწყდება ამ გამოჩენილი სპორტსმენების დავა სსრ კავშირის პირველობაში, რომელიც სულ მალე ზაპოროჟიეში გაიმართება.

დაშნით მოფარიკავეთა ასპარეზობა მრავალმხრივ საყურადღებო იყო. ამ სახეობაში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებმა თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს. ეს განსაკუთრებით ითქმის გუნდურ შეჯიბრებაზე. აქ კარგად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკავეები კოსტავა, ალფაშვილი, აკოფოვი, აზერბაიჯანის წარმომადგენელი მედვედევი. მათ II ადგილი დაიპაყრეს კიევის სამხედრო ოლქის ძლიერი გუნდის შემდეგ. ამ გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა უკრაინის ნაკრების ყველა წევრი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები არიან.

პირად პირველობაში თავი გამოიჩინა გ. კოსტავამ. მართალია, მან მხოლოდ V ადგილი მოიპოვა, მაგრამ მისმა ფარიკაობამ სახიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. როგორც ჩანს, გურამს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავ მთელი ძალით ჩაებას სსრ კავშირის უძლიერესი დაშნით მოფარიკავეების დავაში. ამის გარანტიას იძლევა მისი ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება.

საინტერესოა, რას ფიქრობს ამ ჩემპიონატის შემდეგ გამოჩენილი საბჭოთა მოფარიკავე მ. მიდლერი კოსტავას შესახებ:

— კოსტავა ფენომენალური მონაცემების სპორტსმენია. მან თითქმის შეუძლებელი შეძლო: ორი წლის შესვენების შემდეგ კვლავ დაიბრუნა სპორტული ფორმა. ვფიქრობ, მას ჯერაც არ უთქვამს ბოლოო სიტყვა. მატარებელი ჯერ შორს არ წასულა, გურამი მას დაეწევა, უთუოდ დაეწევა...

განსაკუთრებით ვვინდა გამოვყოთ კოსტავას დასამახსოვრებელი გამარჯვებები უძლიერეს მუშკეტერებთან კრისთან, ხაბაროვთან, ვალეტოვთან, პარამონოვთან. მათთან პაექრობისას ჩვენ ვიხილეთ „ძველი კოსტავა".

ამ სახეობაში ჩემპიონის ოქროს მედალი წილად ხვდა კიეველ პარამონოვს. ამ სპორტსმენის რეპუტაცია ამჟამად საკმაოდ მაღალია როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე.

რაპირისტთა შორის ფავორიტად პუტიატინი ითვლებოდა, მაგრამ დაშავდა და შეჯიბრებას დასაწყისშივე გამოეთიშა. აღიარებული ლიდერის მაგივრობა მოულოდნელად იკისრა ლვოველმა როიმ. მან გაუძლო ლიტოვის, ლეიბოვიჩის, რიუმინის კონკურენციას და დამსახურებულად გაიმარჯვა.

ჩემპიონატში შედარებით სუსტად გამოიყურებოდნენ რაპირისტი ქალები. მათს ტურნირში ბრძოლა ფაქტიურად თითქმის არც ყოფილა. შექმნილ სიტუაციაში სხვებზე „უკეთ გაერკვა" მოსკოველი ლიუბეცკაია და ჩემპიონის ტიტულიც მას დარჩა.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

რთულია თუ მარტივი?

კოსტავა ამარცხებს კრისს, ხაბაროვს, ვალეტოვს...

მიდლერი: „მატარებელი ოთრს არ წასულა"

საკავშირო ბიბლიოთეკა

ზესტაფონი

ფეხბურთელთა 14 კოლექტივი მონაწილეობდა გაზეთ „სოფლის ცხოვრების" თასზე რაიონულ გათამაშებაში. კარგად ჩაატარა შეჯიბრება ირგვლივ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა, რომელიც პრიზს დაესაკუთრა. II ადგილზე არიან სოფ. ცხრაწყაროს კოლმეურნეობის ფეხბურთელები.

ნ. კაკაურიძე,
„კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე.

ავტორალიის ვეტერანები

ერევანი, 4 აგვისტო. დღეს დამთავრდა „რალი-70". ძნელი გასაოცდა ხხოლოდ 70 ეკიპაჟმა ჩააბარა და დაამთავრა მოგზაურობა ერეკლის იპოდრომზე.

პროგრამის ბოლო სახეობამ — იპოდრომზე რბოლამ მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია. როცა მსაჯმა ინფორმატორმა სტარტზე ბოლო სამი „ზაპოროჟეცი" გამოიძახა, ტრიბუნებზე სიცილი ატყდა. № 3 ძველი ტიპის „ზაპოროჟეცი" ძალიან ჰგავდა კრილოვის ფინიას. მაგრამ როცა ინფორმატორმა გამოაცხადა, რომ ამ მანქანამ 16 რალიში მიიღო მონაწილეობა და აქედან 14 წარმატებით დაამთავრა, რომ მას 120 ათასზე მეტი კილომეტრი აქვს გავლილი და სიცილი ტაშით შეიცვალა.

საკადესის კორესპონდენტმა მანქანის ეკიპაჟს — ესტონელ მრბოლელებს ე. კაბრალს და მ. მერილოს წარმატება მიულოცა. მათ თავის მხრივ მადლობა გადაუხადეს მწვრთნელს, სპორტის ოსტატ რ. სილდას, რომელმაც, სხვათა შორის, „ზაპოროჟეცების" შეჯიბრება მოიგო.

ესტონეთის ქალაქ ვილიანდის ავტოკოლონის უფროსმა რ. სილდამ „ზაპოროჟეცებით" ათასობით კილომეტრი გაიარა საკავშირო და რეპუბლიკურ რბოლებში. მისი „ფავორიტის ცხენი" 15-ჯერ გამოვიდა რალის სტარტზე და 13-ჯერ მიიყვანა სპორტსმენი ფინიშთან. სწორედ მე-13 ცდამ მოუტანა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული რ. სილდას და მის მეწყვილეს, სპორტის ოსტატ ტ. მიანდეს.

მართალია, უკვე 1968 წელს ესტონელი მრბოლელები ძალიან ახლოს იყვნენ ოქროს მედლებთან, მაგრამ მათმა „ზაპოროჟეცმა", რომელმაც 1000-ზე მეტი კილომეტრი გაიარა, გზა ვერ დაამთავრა. მას სულ 160 კილომეტრი დარჩა ფინიშამდე.

ახლა სილდა ახალი მანქანით გამოდის, ძველი კი მან მემკვიდრეობით გადასცა თავის საუკეთესო ნოწაფემს — ახალგაზრდა პირველთანრიგოსნებს.

წინასწარი მონაცემებით, წლევანდელ ავტორალიაში „ზაპოროჟეცების" კლასში გამარჯვება მოიპოვა ესტონელების — სილდა — მიანდეს დუეტმა. მათი აზრით, მცირელიტრაჟიან მანქანებს დიდი მომავალი აქვთ სპორტულ შეჯიბრებებში. ამას ადასტურებს ვეტერანი „ზაპოროჟეცი."

ახალგაზრდობა უტევს

აი, უკვე რამდენიმე წელია ცხენოსანთა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ სახეობაში — უფროსი ასაკის ცხენებით სამჭიდში შეჯიბრებაში ახალი, ამასთან, ახალგაზრდა ჩემპიონი ვლინდება. წლეულს ჩემპიონი გახდა მოსკოველი სამხედრო მოსაბსახურე ა. ზუევი, რომელიც სულ 18 წლისაა. ოთხი დღის ბრძოლის ჯამში მან 8,4 დადებითი ქულა დაიმსახურა.

ზუევი მეექვსე წელია, რაც საცხენოსნო სპორტში ვარჯიშობს, მაგრამ, როგორც ჩანდა, შესახიშხავად აითვისა ეს სახეობა. გაკვირვებთ, რომ სამჭიდელმა ყველაფერი უნდა მეძლოს. პირველი სახეობა ჩოსთვის სამანეჟო სვლაა, შემდეგ — საველე გამოცდები, რომლებიც შედგება სხვადასხვა სიმაღლეზე და სხვადასხვა დისტანციაზე დოღისგან, და ბოლოს — დაბრკოლებათა გადალახვა. ერთი სიტყვით, სამჭიდელი გახდების ოსტატიცაა, კოკეტირიც, ჟოკეიც...

სერიოზული მეტოქეობა გაუწიეს ზუევს კ. ზახარიანმა (სომხეთი) და მ. ციმბლერმა (მოლდავეთი). შეჯიბრების ორი სახეობის მერე მხოლოდ მათ და ზუევს ქეთდათ დადებითი ქულები: პირველს — 4,3, ხოლო მეორეს — 0,65. დანარჩენებს აე ლროისთვის უარყოფითი შეფასება ქეონდათ. შემთავაზებულ სამეულს ბედმა გაუღიმა: თუ სამანეჟო სვლაში 50 მონაწილიდან მხოლოდ ერთი ვერ ჩაეტია ნორმატივში, საველე გამოცდა ხუთვილი „აკილევსის ქუსლი" გამოდგა 19 მონაწილისთვის. მაგრამ ეს გასაკვირი როდია. ასეა თითქმის ყოველ შეჯიბრებაში.

ამრიგად, ყველაფერი უნდა გადაწყვიტა დაბრკოლებათა გადალახვის. იგი გაიმართა მოსკოვის ახლოს — ქლახიორხაიაში. ლიდერთაგან ყველაზე ადრე სტარტი აიღო ციმბლერმა და შესახიშავ შედეგსაც მიაღწია — არც ერთი საჯარიმო ქულა. ზახარიანსაც უჯარიმოდ გაიარა დისტანცია. მათ არც ზუევი ჩამორჩა. ასე რომ, დაბრკოლებათა გადალახვას ლიდერთა განაწილებაში არსებითი ცვლილება არ შეუტანია. ჩემპიონი გახდა ზუევი, II ადგილზე გავიდა ზახარიანი, III — ციმბლერი.

ლიდოსტატები ხერ ისვენებენ

დნეპროპეტროვსკი, 5 აგვისტო. ოლქის საჭადრაკო კლუბში ორი დღეა მწვავე ბრძოლაა გამართული სსრ კავშირის თასისთვის. უკვე გავლილია შეჯიბრების პირველი ციკლის ნახევარი — გათამაშებულია 50 პარტია.

სტარტზე წარმატებით ითამაშა ბაქოელმა ვ. ბაგიროვმა. მან 19 სვლაში დაამარცხა ლენინგრადელი ე. ბუხმანი, როშელმაც უხეიროდ ითამაშა ლაზიერის გამბიტში. ხარკოველი საერთაშორისო ოსტატი ვ. სავონი ორი ყაიმით დაკმაყოფილდა მოსკოველ ს. როზენბერგთან. საყაიმო ანგარიშით (1:1) აღინიშნა ოსტატ ი. კლოვანის (რიგა) შეხვედრა ახალგაზრდა ჯამბულელ ა. ჯარკინბაევთან.

ცაიტნოტის პირველი მსხვერპლი შეიქნა ტაშკენტელი ოსტატი გ. ბორისენკო. მან 29-ე სვლაზე დროს გადაალილა ბ. კატალიმოვთან (ყაზახეთი) შეხვედრაში.

რას აკეთებენ დიდოსტატები, რომლებიც თასისთვის ბრძოლაში მხოლოდ მეორე ციკლიდან უნდა ჩაებახ? მ. ტალს მუდამ შეხვდებით სატურნირო დარბაზში, სადაც მას ავტოგრაფების მოყვარულნი არ მორდებიან. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი „არწივის მზერით" აკვირდება სადემონსტრაციო დაფებს, ხალისით ანალიზებს თამაშს. მშვიდი ა. გიპლისი ბლოკნოტით ხელში დადის დარბაზიდან დარბაზში— იგი რიგის საჭადრაკო ჟურნალის რედაქტორია და ჩანაწერებს აკეთებს. დ. ბრონშტეინიც მუდამ სატურნირო დარბაზშია. იგი — თასის გათამაშების ერთ-ერთი მთავარი თაოსანი — დნეპროპეტროვსკელებს ამ შეჯიბრების ავკარგს უხსნის. დიდოსტატი ა. ზაიცევი მსუბუქი პარტიების თამაშით ერთობა. დიდოსტატები ა. ლუტიკოვი (მოლდავეთი) და ს. ფურმანი (ლენინგრადი) კაბინეტის სიმყუდროვეში აწესრიგებენ თავიანთ „საჭადრაკო კარტოთეკას" — ყველა დიდი მოჭადრაკის განუყრელ თანაგზავნს, რომელიც ავ თვალს არ დაენახვება.

(საკადესი).

გაიმარჯვა ყველაზე ნორჩმა

ტერნოპოლი, 4 აგვისტო. 156.5 კმ საათში — ასეთი სისწრაფით მიჰქროდა ტბის ცისფერ ზედაპირზე პატარა ხომალდი — ვლადიმერ ოსტეკელი სპორტსმენის ნ. ხოლომას საკორდო მოდელი. სპორტის ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის ყველაზე ნორჩმა მონაწილემ (იგი სულ 11 წლისაა) სპორტის ოსტატის ნორმატივზე მაღალი შედეგი აჩვენა.

მიშას ძალიან იხმარება მამა — გემთმშენებელი ინჟინერი, რომელმაც მას დისაფის სახლეთო კლუბში ჩაწერა ურჩია. აქ ნორჩი სპორტსმენის ხელმძღვანელი გახდა სსრ კავშირში პირველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. სუბოტინი.

შეჯიბრების პირველმა დღემ მარტო ნორჩი მოდელისტი როდი გაახარა. სამხედრო გემების მოდელების კლასში I ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ა. ანდრეევმა, რომელმაც 40 შესაძლებლიდან 39,4 ქულა მოაგროვა.

შეჯიბრებაში მონაწილეობს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 17 გუნდი. მონაწილეებმა 8 კლასის 133 მოდელი ჩამოტანეს. (საკადესი).



ფიზკულტურელის საკავშირო დღეს — 8 აგვისტოს თასის ფინალი

გზა მწვერვალისკენ

1970 წელი

„დინამო“ (თბილისი)

ევროპაჩემპიონატი. თბილისის „ლოკომოტივთან“ — 1:0, 4:2.
მერვედფინალი. ქუთაისის „ტორპედოსთან“ — 1:1, 0:0.
მეოთხედფინალი. ოდესის „ჩერნომორეცთან“ —2:1.
ნახევარფინალი. ბაქოს „ნავთჩისთან“ — 1:0.

„დინამო“ (მოსკოვი)

მეთექვსმეტედფინალი. უიტომირის „ავტომობილისტთან“ — 0:0, 1:0.
მერვედფინალი. ერევნის „არარატთან“ — 1:0, 0:0.
მეოთხედფინალი. მოსკოვის „ტორპედოსთან“ — 3:0.
ნახევარფინალი. კიევის „დინამოსთან“ — 2:1.

თბილისის „დინამოს“ უმაღლესი საფეხურები თასის ყველა გათამაშებაში

1936 წ. ფინალი. მოსკოვის „ლოკომოტივთან“ — 0:2.
1937 წ. ფინალი. მოსკოვის „დინამოსთან“ — 2:5.
1938 წ. ნახევარფინალი. ლენინგრადის „ელექტრიკთან“—1:2.
1939 წ. ნახევარფინალი. მოსკოვის „სპარტაკთან“ — 2:3.
1944 წ. მერვედფინალი. ბაქოს „დინამოსთან“ — 1:2.
1945 წ. მეოთხედფინალი. ცდკა-სთან — 0:1.
1946 წ. ფინალი. მოსკოვის „სპარტაკთან“ — 2:3 (დამატებით დროში).
1947 წ. მეოთხედფინალი. მოსკოვის „ტორპედოსთან“ — 1:2.
1948 წ. ნახევარფინალი. მოსკოვის „სპარტაკთან“ — 0:1.
1949 წ. მეოთხედფინალი. მოსკოვის „დინამოსთან“ — 1:3.
1950 წ. მერვედფინალი. ვვს-თან — 1:2.
1951 წ. მეთექვსმეტედფინალი. ვვს-თან — 1:5.
1952 წ. მერვედფინალი. ქ. კალინინის გუნდთან — 1:2.
1953 წ. მეოთხედფინალი. მოსკოვის „დინამოსთან“ — 0:1.
1954 წ. მეთექვსმეტედფინალი. დონეცკის „შახტიორთან“ — 2:2, 0:1.
1955 წ. მეოთხედფინალი. ცდსა-სთან — 0:1.
1957 წ. მეოთხედფინალი. მოსკოვის „ტორპედოსთან“ — 1:6.
1958 წ. მერვედფინალი. ლენინგრადის „ადმირალტეეცთან“ — 1:3.
1960 წ. ფინალი. მოსკოვის „ტორპედოსთან“ — 3:4 (დამატებით დროში).
1961 წ. მერვედფინალი. დონეცკის „შახტიორთან“ — 2:3.
1962 წ. მერვედფინალი. მოსკოვის „ტორპედოსთან“ — 0:2.
1963 წ. მეთექვსმეტედფინალი. კალინინის „ვოლგასთან“ — 2:4 (დამატებით დროში).
1964 წ. მერვედფინალი. მოსკოვის „დინამოსთან“ — 1:2 (დამატებით დროში).
1965 წ. ნახევარფინალი. მინსკის „დინამოსთან“ — 1:2.
1966 წ. მეთექვსმეტედფინალი. დონეცკის „შახტიორთან“ — 1:2.
1967 წ. მერვედფინალი. ბაქოს „ნეფტჩალინიკთან“ — 1:2.
1968 წ. მერვედფინალი. სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ — 0:1.
1969 წ. მეთექვსმეტედფინალი. ოდესის „ჩერნომორეცთან“ — 2:3.

მოსკოვის „დინამო“ — გადამწყვეტ მატჩებში

1937 წ. თბილისის „დინამოსთან“ — 5:2.
1953 წ. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ — 1:0.
1967 წ. ცსკა-სთან — 3:0.



◆ მოსკოვი, 5 აგვისტო. 11, 13 და 14 აგვისტოს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში საბჭოთა კავშირის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები (32 ქალი და 36 ვაჟი) 42-ედ გამოვლენ ქვეყნის ჩემპიონატში ცალკეულ იარაღებზე და სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. ფიცარნაგზე ვიხილავთ მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს მ. ვორონინს, მეხიკოს ოლიმპიადის მონაწილეებს ვ. კლიმენკოს, ს. დიომიდოვს, მრავალჯერადში ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს ზ. ვორონინას, სსრ კავშირის 1969 და 1970 წლების აბსოლუტურ ჩემპიონს ლ. ბურდას, ქვეყნის თასის ამჟამინდელ მფლობელს ლ. ტურიშჩევას, ოლიმპიურ ჩემპიონს თავისუფალ ვარჯიშში ლ. ჰეტრიკსა და სხვებს — სახელმოსვეჭილ სპორტსმენებსაც და სულ ახალგაზრდა ოსტატებსაც. ეს შეჯიბრება ვენერალური რეპეტიციაა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც ოქტომბრის მეორე ნახევარში გაიმართება იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანაში. დღეს მოეწყო პრეს-კონფერენცია. ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის ტანვარჯიშის განყოფილების უფროსმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ტიტოვმა, მომავალი საკავშირო შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ნ. მირონოვმა, სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა — სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. ლატინინამ და მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. სმოლევკიმ დამსწრეთ მოუთხრეს მომავალ შეჯიბრებაზე და პასუხი გასცეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „იმერეთი“ (თერჯოლა) — „გიგანტი“ (ლაითური) 0:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

პირველი ტაიმის თანაბარი გრძოლის შემდეგ თერჯოლელებმა მთლიანად ხელთ აიღეს ინიციატივა, მაგრამ მოხდა ისე, რომ უტევდნენ ისინი, ბურთი კი გაიტანა „გიგანტმა“. 55-ე წუთზე მან განახორციელა სწრაფი კონტრიერიში და გოგოტიშვილმა ანგარიში გახსნა. მასპინძლებმა გერ შეძლეს თავი დაეღწიათ წაგებისთვის ლაითურელთა დაცვისა და მეკარის კარგი თამაშის გამო.

● „ენგური“ (ზუგდიდი) — „სინათლე“ (თბილისი) 0:1. მსაჯი ა. დიდიშვილი (ზუგდიდი).

● „ისანი“ (თბილისი) — „სქურა“ (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

თბილისელებმა აქტიურად, სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში, თუმცა ანგარიშის გახსნის რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს. „ისანს“ გამარჯვება მოუტანა ჯაგაშვილის მიერ შორიდან დარტყმულმა ბურთმა. „სქურას“ მეკარე გოლუბეები ადვილზე არ აღმოჩნდა და გაუშვა იოლი ბურთი.

● „მზიური“ (გალი) — „ხალხინო“ (გეგეჭკორი) 0:0. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

ამ მატჩში მსაჯთან კამათისთვის მინდვრიდან გააძევეს გეგეჭკორელი ჭილაია.

● „მშენებელი“ (ბორჯომი) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი) 1:2. მსაჯი გ. აბაზაძე (თბილისი).

გარდაბნელებმა მე-15 და 25-ე წუთებზე შეძლეს მოულოდნელი კონტრიერიშების განხორციელება, რომლებიც ჩიხრაძემ ორივეჯერ კარიც აღებით დაამთავრა. „მშენებელი“ განუწყვეტლივ უტევდა შესვენების შემდეგ, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლის (კახელიშვილი) გაქვითვა შეძლო.

● „მესხეთი“ (ახალციხე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:2. მსაჯი ლ. ჯობაძე (ხაშური).

მასპინძლებმა კარგად ითამაშეს ლიდერის წინააღმდეგ. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და ისინი წინ იყვნენ ანგარიშით 2:0. მხოლოდ ბოლო 8 წუთში მოახერხეს მეტალურგებმა ანგარიშის გაქვითვა.

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 3:0. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

სამტრედიელებმა პირველივე წუთებიდან ხელთ აიღეს ინიციატივა და ისე წარმართეს თამაში, რომ მათი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა მატჩის მსვლელობაში. ანგარიშიც საკმაოდ შეესაბამება ძალთა შეფარდებას (ბურთები გაიტანეს მანჯგალაძემ, კოხრეიძემ და მეტრეველმა).

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 0:1. მსაჯი ნ. ამირაჯიბი (თბილისი).

II ჯგუფი

I ზონა

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 6:1, „მევენახე“ (ბოლნისი) — „მევენახე“ (ვაზისუბანი) 3:2, „გარისი“ (თეთრი წყარო)— „სპარტაკი“ (რუსთავი) 4:4, „არაგვი“ (მცხეთა) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 1:2, „არაგვი“ (დუშეთი) — „მშენებელი“ (წალკა) 5:0.

II ზონა

„კოლმეურნე“ (ქედა) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 1:1, „ვანთიადი“ (აბაშა) — „მექანიკოსი“ (სამტრედია) 1:2, „ვანანლეგა“ (ადაგენი) — „ხაირმე“ (მაიაკოვსკი) 3:0, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:1, „დინამო“ (ქუთაისი) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 2:0, „ივერია“ (ხაშური) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:1.

ზონალური შეჯიბრებები

I ზონა

„კლდეკარი“ (მანგლისი) — „მადნეული“ (ყაზრეთი, ბოლნისი) 1:1, „ოლიმპი“ (ავრალნო, წალკა) — „შახტმშენი“ (მარნეული) 2:2, „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) — „იმედი“ (აწყური) 0:1.

II ზონა

„წინანდალი“ (თელავი) — „განთიადი“ (კასპი) 0:1, „ნაფარეული“ (თელავი) — „ვაზი“ (შრომა, გურჯაანი) 0:1, „ჭაბუკიანი“ (ლაგოდეხი) — „ქისტაური“ (ახმეტა) 3:2, „იორი“ (თიანეთი) — „ტიბაანი“ (სიღნაღი) 2:2, „განთიადი“ (კასპი) — „ტიბაანი“ (სიღნაღი) 4:0, „ქისტაური“ (ახმეტა) — „იორი“ (თიანეთი) 4:1, „ვაზი“ (შრომა, გურჯაანი) — „ჭაბუკიანი“ (ლაგოდეხი) 2:1, „წინანდალი“ (თელავი) — „ნაფარეული“ (თელავი) 6:1.

III ზონა

„ქვედა ბაბვი“ (მახარაძე) — „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) 4:0, „სპარტაკი“ (ვანი) — „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) 3:1, „განთიადი“ (ქარელი) — „ჩაის საბჭოთა მეურნეობა (წალენჯიხა) 1:0.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 6 აგვისტოსთვის

	თ.	ჰ.	ფ.	წ.	ბ.	ჭ.
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	28	18	6	4	57—34	42
„სქური“ (წალენჯიხა)	28	15	8	5	45—23	38
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	28	15	7	6	59—28	37
ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბ.)	27	13	10	4	45—23	36
„ეგრისი“ (ცხაკაია)	27	15	6	6	46—26	46
„ისანი“ (თბილისი)	27	11	13	3	28—18	35
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	28	11	12	5	44—25	34
„სინათლე“ (თბილისი)	27	12	8	7	39—26	32
„სამცხე“ (აწყურა)	27	8	13	6	24—24	29
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	28	11	7	10	34—42	29
„მზიური“ (გალი)	27	7	14	6	30—27	28
„ქართლი“ (გორის რაიონი)	28	9	10	9	37—35	28
„ვარკეთილი“ (გარდაბანი)	28	8	11	9	30—32	27
ასკ (თბილისი)	27	9	5	13	27—37	23
„გიგანტი“ (ლაითური)	27	6	11	10	27—40	23
„იმერეთი“ (თერჯოლა)	27	6	10	11	30—30	22
„ენგური“ (ზუგდიდი)	26	5	10	11	20—32	20
„ცისკარი“ (სიღნაღი)	28	5	10	13	18—33	20
„ბახმარო“ (ჩობალური)	27	4	12	11	27—49	20
„ბალაბანელი“ (ჭიათურა)	26	4	8	14	31—51	16
„მესხეთი“ (ახალციხე)	27	3	7	17	27—54	13
„მშენებელი“ (ბორჯომი)	27	3	6	18	20—46	12



ფინიში...

თბილისი. სპორტის სასახლე. 4 აგვისტო.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (კიევი) 68:67 (34:35).

„ბურევესტნიკი“: პოლავსკი (17), გლურჯიძე (14), ჩხიკვაძე (11), ბიჭიაშვილი (11), ჯულელი (10), ნინოაშვილი (5), ღიბრაძე, მაისურაძე, ფირცხალაიშვილი, კასრაძე.

ასკ: ნოვიკოვი (25), ოკიპნიაკი (10), მანსუროვი (8), ნიკოლაევი (6), ეგოროვი (6), სალუხინი (4), შუტოვი (4), ვოლკოვი (4).

მსაჯები: მ. გრიგორიევი (მოსკოვი), გ. ავალიშვილი (თბილისი).

ასეთ მონდომებას და თავგანწირვას კიევის არმიელთა მხრიდან, მართალი გითხრათ, არ ველოდით, მით უმეტეს, რომ ჩემპიონატის ფინიშზე რაიმე არსებითი ცვლილება პრაქტიკულად გამორიცხული იყო. მაგრამ, როგორც ვიარეკვა, არმიელთა განწყობილება წმინდა საუწყებო ინტერესებით ყოფილა გამოწვეული (გამარჯვების შემთხვევაში ისინი ლატვიელ თანაკლუბელებს უსწრებდნენ). ისე, კაცმა რომ თქვას, ქულა არც „ბურევესტნიკს“ აწყენდა — წარმატების შეძთავევაში იგი X ადგილის ერთპიროვნული მფლობელი ხდებოდა. და ვინაიდან აუტსაიდერებთან საშიარო ანგარიში ვარგა, მეტოქის მაკალითით გამხნევებული თბილისელები მტკიცე და უშიშარი ბრძოლისთვის გამზადებულ მატჩის ანალიზს არ შევუდგებით. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ დაბალ და ხაინტერესო ბრძოლაში თბილისელებმა შეძლეს სწორი გზის პოვნა, რომელმაც ისინი ბოლოს და ბოლოს სასურველ მიზნამდე მიიყვანა. ეს ფაქტიურად მატჩის მ-წყურლს მოხდა, მანამდე კი მთელი ძალ-ღონე მობილიზებული იყო თამაშის სწორი ორგანიზაციისკენ.

დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი — დიდი მარათონული ტურნირი, რომელსაც 9 თვის მანძილზე საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდა ქვეყნის საუკეთესო საკალათბურთო ძალები. ტურნირის მსვლელობაში ხშირად საყურადღებოდ ხდებოდნენ ჩემპიონატის რეკლამებტს, ბევრი წინადადებაც წამოაყენეს ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. მწვრთნელებისა და მოთამაშეთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ კალენდარული მატჩების სიმრავლეს და ამ მიზეზით ჩემპიონატის ასეთ გაჭიანურებას მხოლოდ ზიანი მოაქვს. არაერთხელ გვსმენია კალათბურთელთა საყვედური იმაზე, რომ ტურნირის რეგლამენტმა მთლიანად შთანთქა სპორტსმენი და მას თამაშის ხალისი დაუკარგა. ეს, სხვათა შორის, ცხადად გამოჩნდა ჩემპიონატის ფინიშზე, სადაც შეხვედრების უმრავლესობა წმინდა ფორმალურ, ვალის მოხდის სასიათს ატარებდა.

ნ. გუგუშვილი.

გამოტოვებული მატჩი

ამას წინათ კიევში გაიმართა ჩუძპიონატის გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ გუნდებს „სტროიტელსა“ და ასკ-ს შორის. ანგარიშით 68:67 გაიმარჯვა „სტროიტელმა“.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	ჰ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა					
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	33	29	4	2741—2311	29
„სტროიტელი“ (კიევი)	33	25	8	2510—2204	25
„ელგრიანი“ (კაუნასი)	33	22	11	2672—2458	22
„დინამო“ (მოსკოვი)	33	21	12	2566—2494	21
„ალეკი“ (ტარტუ)	33	21	12	2712—2590	21
„დინამო“ (თბილისი)	33	18	15	2696—2559	18
ასკ (რიგა)	33	16	17	2611—2696	16
ასკ (კიევი)	33	11	22	2469—2642	11
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	33	11	22	2384—2440	11
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	33	9	24	2381—2655	9
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	33	8	25	2463—2727	8
	33	7	26	2448—2771	7

ჟურნირი უვეტერანებოდ



დღეს ათეწში სტარტს აიღებს ევროპის IV ჩემპიონატი კალათბურთში იუნიორთა შორის. გუნდები ორ ექვსეულადაა დაყოფილი: ერთ-ერთ მათგანში არიან სსრ კავშირის, ბულგარეთის, იტალიის, ბელგიის, ჩეხოსლოვაკიისა და თურქეთის კალათბურთელები, მეორეში — გფრ-ის, საბერძნეთის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთისა და ესპანეთის სპორტსმენები. წინასწარი ტურნირები წრიული სისტემით გაიმართება, ნახევარფინალში კი გუნდი, რომელიც I ადგილს დაიკავებს „ა“ ჯგუფში, „ბ“ ჯგუფის მეორე გუნდს შეხვდება, ხოლო „ბ“ ჯგუფის პირველი გუნდი — „ა“ ჯგუფის მეორე გუნდს. დაბოლოს, ამ მატჩებში გამარჯვებულნი ფინალში I ადგილს გაითამაშებენ, დამარცხებულნი კი მესამეს. ასეთივე პრინციპით გათამაშდება ყველა დანარჩენი ადგილი.

1964 წელს გამართულ I ევროპულ ჩემპიონატში 8 გუნდი მონაწილეობდა, ზუსტად იმდენი, რამდენმაც გამოთქვა თამაშის სურვილი. ევროპაში ჭაბუკთა კალათბურთის მზარდ პოპულარობას ადასტურებს ის, რომ ამჟამად ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 26 ქვეყანამ. ორი გუნდი — სსრ კავშირისა (ევროპის ჩემპიონი) და საბერძნეთისა (ჩემპიონატის მასპინძელი) შესარჩევი თამაშების ჩაუტარებლად იასპარეზებენ.

სსრ კავშირის ნაკრებმა ევროპის სამ ჩემპიონატში ოქროს მედლების 3 კომპლექტი მოიპოვა, თანაც ისე, რომ არც ერთი მატჩი არ წაუგია.

როგორია გუნდის შანსები მეოთხე ტურნირში? ი. ბირიუკოვმა — ახლანდელი გუნდის მწვრთნელმა (თუმცა იგი ადრე სამივეჯერ იყო ნაკრების მწვრთნელი, ოღონდ მეორე) უარი თქვა რაიმე კატეგორიული პროგნოზების გამოთქმაზე. ეს მწვრთნელის ჩვეულებრივი სიფრთხილე როდია. იუნიორთა ტურნირებს თავიანთი სპეციფიკა აქვთ: მოედანზე გამოვსლა შეუძლიათ სპორტსმენებს, რომელთა ასაკი შეჯიბრების წელიწადს 19 წელს არ უნდა აღემატებოდეს. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდი ხვდება სრულიად უცნობ მეტოქეს. თანაც ჩვენს ახლანდელ გუნდში, მის სამ წინამორბედთან შედარებით, მდგომარეობა გაცილებით რთულია: მსოფლიო ჩემპიონატისა და სსრ კავშირის პირველობის გამო იუნიორებს, რომელთა უმრავლესობა უკვე თამაშობს „ა“ კლასის გუნდებში, ევროპული შეჯიბრებისთვის სათანადოდ მომზადების საშუალება არ ჰქონდათ; მისი სამი წინამორბედისგან განსხვავებით, 1970 წლის ნაკრებს არც ერთი მატჩი არ უთამაშია ქვეყნის ფარგლებს გარეთ, თუმცა მისი ბევრი მოთამაშე თავისი გუნდის შემადგენლობაში უცხოეთშია ნამყოფი. უწინ თითოეული მათგანი უფროსი, უფრო გამოცდილი კოლეგების იმედით იყო, ახლა კი საბჭოთა იუნიორებს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ; მათს გუნდს ვეტერანები არ ჰყავს.

უკანასკნელი წინადადება შესწორებას მოითხოვს. ორი წლის წინ გუნდში მიიწვიეს 17 წლის ა. ბელოვი ლენინგრადის „სპარტაკიდან“ და ვ. მილოსერდოვი, რომელიც მაშინ მოსკოვის ოლქის „სპარტაკის“ ღირსებას იცავდა, ახლა კი ცსკა-ში თამაშობს. სწორედ მათ — ბელოვსა და მილოსერდოვს შეიძლება პირობით ვეტერანები ვუწოდოთ: ჯერ ერთი, იუნიორთა ტურნირი მათთვის რიგით მეორეა, ხოლო ბელოვმა უკვე ითამაშა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, მილოსერდოვმა კი მონაწილეობა მიიღო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

სხვათა შორის, ახლანდელ გუნდშიც ორი მატჩი იუნიორთა ნაკრების მონაწილეობით. ორივე მატჩში ამ გუნდის სპარინგ-პარტნიორი იყო ცსკა, რომლის შემადგენლობაში არ იყვნენ ვ. ანდრეევი, ს. ბელოვი, ვ. კაპრანოვი და ი. სელიხოვი. ერთი მატჩი იუნიორებმა მოიგეს (73:72), მეორე — წააგეს (66:71). მაგრამ საქმე არც ის არის, რომ იუნიორებმა შეძლეს თანაბრად ეთამაშათ გუნდთან, რომელიც ასეთი შემადგენლობითაც სსრ კავშირის ჩემპიონატში აუცილებლად დაიკავებდა ადგილს ცხრილის ზედა ნახევარში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იუნიორთა ნაკრებმა ნამდვილი კალათბურთი ითამაშა და კარგად შეთანხმებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა.

თავის დროზე მე მინახავს ამ გუნდის თითოეული სამი წინამორბედი. ჩემი აზრით, მათგან საუკეთესო გახლდათ ის, რომელიც 1966 წლის ჩემპიონატში თამაშობდა. ეს იყო ა. პოლიკოვოდასა და ს. კოვალენკოს, ვ. ნიკიტინისა და ა. ბოლოშევის, ვ. ნოვიკოვისა და მ. ქორქიას, ა. კრიკუნისა და ვ. ზასტუხოვის, ა. ავრაამოვისა და ბ. ბლიკის გუნდი (ყოველი მათგანი ამჟამად უმაღლესი ლიგის გუნდებში თამაშობს, თანაც — პირველ როლებს). მეორე ადგილს ამ ოთხი გუნდის, ასევე ვთქვათ, დაუსწრებელ ტურნირში მე ახლანდელს მივანიჭებდი. იგი, როგორც ვთქვეთ, ორად არის შეთამაშებული, თანაც „ოლიმპიურს“ ჰყავს ისეთი წევრები, — [illegible] ორი სამი წლის შემდეგ ქებით ილაპარაკებენ.

უკვე დასახელებული ბელოვისა და მილოსერდოვის გარდა, მინდა დიდი მომავალი ვუწინასწარმეტყველო ი. ქვიგურსს რიგის ვეფ-იდან, კალათბურთელს, რომელიც ტექნიკურია, ჯიბრიანია, ოღონდ ცოტათი ნელია. იგი ერთნაირად ძლიერია როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში. საკმაოდ კარგია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის ცენტრი ი. ძიძიგური. როგორც ჩანს, პირველი სიდიდის ვარსკვლავი გახდება ა. ხარჩენკოვი — საუკეთესო აღნაგობის, აგრესიული თავდამსხმელი და, გამორიცხული არ არის, — მ. ტიკსი, რომელსაც პირველხარისხოვანი გამთამაშებლის მონაცემები აქვს.

გუნდის ამოცანა რთულდება იმით, რომ ტურნირი ათეწში ღია ცის ქვეშ გათამაშდება. ბევრი სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, სსრ კავშირის კალათბურთს დასასლოებით ოთხი წელია თავზე სახურავი აქვს: არც ერთი ასე თუ ისე სერიოზული შეჯიბრება ჩვენში ღია ცის ქვეშ არ გამართულა.

ვინ არის სსრ კავშირის ნაკრების მთავარი კონკურენტი? რასაკვირველია, იუგოსლავიის გუნდი და არა მარტო იმიტომ, რომ მისმა მწვრთნელმა ლეჩჩმა განაცხადა — ჩვენ ოქროს მედლებს მოვიპოვებთო. უბრალოდ, ამ ქვეყნის ნაკრები, რომელმაც ორ წინა ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა, ტრადიციულად ძლიერია.

ბევრს უნდა მოველოდეთ იტალიის გუნდისგან, ვინაიდან ბოლო წლებში კალათბურთი აპენინის ნახევარკუნძულზე სწრაფი ტემპით განიცდის პროგრესს, რასაც თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში იტალიის ვაჟთა ნაკრებმა ამ ტურნირების ისტორიაში პირველად დაიკავა IV ადგილი — მოუგო აშშ-ს ნაკრებს და იგი V ადგილზე გადასწია.

ბოლოს, საბჭოთა მწვრთნელებს საბერძნეთის გუნდი აფიქრებთ. ზოგადად იტალიის გუნდთან დასანანმა მარცხმა ბოლო წამებში წაართვა საბერძნეთს III საარჩიო ადგილი წინა ჩემპიონატში. თანაც, ბერძნები ამჯერად არა მარტო ჩვეულ პირობებში — დია ცის ქვეშ ითამაშებენ, არამედ გულშემატკივრების დაუცხრომელი მხარდაჭერაც ექნებათ.

მაგრამ მაინც ვიმედოვნებთ, რომ საბჭოთა იუნიორები მეოთხე ტურნირშიც ისეთივე წარმატებით ითამაშებენ, როგორც წინა სამში ითამაშეს.

ა. პინჩუკი.

* * *

ნაკრები-70: მცველები — ს. იასტრებოვი (მოსკოვის „დინამო“, სიმაღლე 187 სმ), ვ. მილოსერდოვი (ცსკა, 186), ა. მეტსარი (ტარტუს „კალევი“, 186), მ. ტიკსი (რაპლის გუნდი, 184); თავდამსხმელები — ა. ხარჩენკოვი (ცსკა, 201), ა. მაკეევი (ლენინგრადის „სპარტაკი“, 196), ი. ლუკაშევიჩი (რიგის ვეფ-ი, 198), ვ. სინიაკოვი (დონეცკის „ავანგარდი“, 190), ი. ქვიგურსი (რიგის ვეფ-ი, 193); ცენტრალები — ი. დვორნი (სვერდლოვსკის „ურალმაში“, 206), ა. ბელოვი (ლენინგრადის „სპარტაკი“, 200), ი. ძიძიგური (სპი, 200).

ხარჩენკოვი და ტიკსი დაიბადნენ 1953 წელს, იასტრებოვი, მაკეევი, დვორნი და ძიძიგური — 1952 წელს, დანარჩენები — 1951 წელს.

გუნდის მწვრთნელები არიან ი. ბირიუკოვი და ვ. ობუხოვი.

სსრ კავშირის პირველობა რეგბიში

ფინალი — 2 ჰულით

ლენინაკანში დამთავრდა „ა“ კლასის II ჯგუფის რეგბისტთა საკავშირო ტურნირი, რომელსაც ორი ფინალისტი უნდა გამოეცალინებინა. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ თბილისის „დინამომ“ დაამარცხა ალმა-ათის „ენბეკი“ და ერევნის „დინამო“. ახლა უნდა დავუმატოთ, რომ საქართველოსა და სომხეთის გუნუების მატჩს 16 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. ისინი, რა თქმა უნდა, თავიანთი გუნდის გულშემატკივრები იყვნენ, მაგრამ ისიც აინტერესებდათ, ერევნელებთან როგორ ითამაშებდნენ რ. კეთილაძე და ვ. აბაშიძე, რომლებმაც ლენინაკანელთა დიდი სიმპათია დაიმსახურეს. ალმაათელებთან მატჩში კეთილაძეს რამდენიმე მეტოქე მხრებზე დაეკიდა, მაგრამ მან მაინც შეძლო შეტოქის ჩათვლის მოედანზე შესვლა და ბურთის დადება. აბაშიძემ კი თავისი შედეგიანობით გამოიჩინა თავი.

ერევნელებთან მატჩის დასაწყისში საკავშირო კატეგორიის მსჯავი ვ. სოკოლოვმა (მოსკოვი) თბილელთა კარისკენ დანიშნა საჯარიმო, რაც ერევნელებმა ზუსტად გამოიყენეს — 3:0. ცხადია, მასპინძელთა წარმატებას გულშემატკივრები სიხარულით შეეგებნენ, მაგრამ მათი აღტაცება ხანმოკლე გამოდგა. მალე ს. ხაჩატურიძემ წონასწორობა აღადგინა, ხოლო შემდეგ დააწინაურა თავისი გუნდი — 6:3. შესვენებამდე გ. აბაშიძემ კარგად დაამთავრა თბილისელთა იერიში და ბურთიანად შეიჭრა მეტოქის ჩათვლის მოედანზე — 9:3. შესვენების შემდეგ ს. მირონოვმა, ვ. ზამიჩინმა და მ. კვანიხიძეს (რეალიზაციით) მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს — 17:3.

საქართველოს რეგბისტებს ბოლო შეხვედრა ტაშკენტის „პოლიტექნიკთან“ ჰქონდათ. თბილისელებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 46:6.

ქვეჯგუფის ბომბარდირად აღიარებული ვ. აბაშიძე, რომელშაც ტურნირის მსვლელობაში 27 ქულა მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ ლენინაკანელებმა ასპარეზობის მაღალ დონეზე გამართვისთვის თავი არ დაზოგეს. მატჩები ცენტრალურ სტადიონზე მიმდინარეობდა.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.		ბ.	ქ.
„დინამო“ (თბილისი)	3	3	0	0	131—9		6
„დინამო“ (ერევანი)	3	2	0	1	51—23		4
„პოლიტექნიკი“ (ტაშკენტი)	3	1	0	2	31—77		2
„ენბეკი“ (ალმა-ათა)	3	0	0	3	18—122		0

23 აგვისტოდან ერევანში გაიმართება „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდების ფინალური შეჯიბრება, რომელშაც ემაღლესი ლიგის საგზური უნდა გასცეს. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს ქვეჯგუფებში გამარჯვებული ექვსი უძლიერესი კოლექტივი: თბილისისა და ერევნის „დინამო“, ვილხიუსის გუნდი, კიევისა და ნალჩიკის სპარტაკელები და მოსკოვის „ხიმკი“.

ჯ. სარკისოვი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ლენინაკანი.

ისტორია მეორდება?

გფრ-ის ქალაქ ვარენდორფში, თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატში მეოთხე დღეს მონაწილეებმა საცურაო ბილიკებზე სცადეს ძალა. მართალია, შეჯიბრების ლიდერი — საბჭოთა ხუთჭიდელი ბ. ონიშჩენკო საარჩიო სამეულშიც ვერ მოხვდა, მაგრამ ოთხი სახეობის ჯამში მან ლიდერობა მაინც შეინარჩუნა. ცურვაში უძლიერესი იყო ამერიკელი ჩ. რიჩარდსი, რომელმაც 300 მ თავისუფალი სტილით 3 წუთსა და 24 წამში დაფარა (რიჩარდსი ხუთჭიდელთაგან მსოფლიოში უძლიერესია სწორედ ამ სახეობაში). ონიშჩენკოს შედეგია 3.40,5 (IV-VI ადგილები). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის, უნგრელი ა. ბალცოს შედეგია 3.41,9.

ოთხი სახეობის ჯამში ონიშჩენკომ 4167 ქულა დააგროვა. მომდევნო სამ ადგილზე არიან უნგრელები ბ. კელეშენი, ბ. ბაკო და ბალცო. საბჭოთა ხუთჭიდელები ვ. ბელოვი და ს. შაპარნისი შესაბამისად VI და VIII ადგილებზე არიან.

საინტერესოა, რომ შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში უნგრელმა ბალცომ 41 წამი მოუგო საბჭოთა ხუთჭიდელს. ახლა ონიშჩენკოს მან სულ ცოტა 43 წამი უნდა მოუგოს, რათა მსოფლიო ჩემპიონი გახდეს. ვნახოთ, რას მოგვიტანს ბოლო სახეობა — მძლეოსნური კროსი. ერთი რამ უკვე ოთხი სახეობის შემდეგ გახდა ცნობილი: გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენები ვერ მოუგებენ უნგრელებს, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა.

თანამედროვე ხუთჭიდი

წინ გადაწყვეტი ბრძოლებია

სსრ კავშირის მძლეოსანთა გუნდებმა პირველი გამოცდა ევროპის თასზე წარმატებით ჩააბარეს: თასების შარშანდელმა მფლობელებმა — ვაჟთა და ქალთა კოლექტივებმა ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. მაგრამ ამჯერად გზა ფინალისკენ იოლი როდი იყო. განსაკუთრებით ვაჟებს გაუჭირდათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ 29-30 აგვისტოს სტოკჰოლმში (ვაჟები) და 23 აგვისტოს ბუდაპეშტში (ქალები) საბჭოთა მძლეოსნებს უმაღლესი ტიტულის დასაცავად ძნელი ბრძოლა ელით.

ციურიხის ნახევარფინალში, როგორც ვიტყობინებოდით, საბჭოთა ვაჟთა ნაკრების ყველაზე უხერხული მეტოქე იყო საფრანგეთის გუნდი. ამ გუნდის წევრებმა, ისევე როგორც სსრ კავშირის სპორტსმენებმა, 97 ქულა მოაგროვეს, მაგრამ მეტი (10 გამარჯვება 8-ის წინააღმდეგ) I ადგილი დაისაკუთრეს. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ ფინალში გდრ-ისა და გფრ-ის ძლიერი კოლექტივებიც გამოვლენ (სხვებზე აღარას ვამბობთ), სურათი ნათელი იქნება.

ციურიხის „ლეტცინგრაუნდის“ ცნობილ სტადიონზე, სადაც ა. ჰარიმ მძლეოსნობის ისტორიაში პირველმა გაარბინა 100 მეტრი 10 წამში, ფრანგებს საკუთარი თავისადმი რწმენა მოემატათ. პირადი ტურნირის ბევრ შედეგს უკვე ვიტყობინებოდით, ახლა დავუმატებთ, რომ 400 მეტრზე რბენა მოიგო ჟ.-ჟ. ნალემ (საფრანგეთი) — 45,7 (მოსკოველი ა. ბრატჩიკოვი მესამე იყო — 46,5). 800 მეტრზე რბენაში იმარჯვა ე. არეანომა — 1.48,6, 5000 მეტრზე — რ. შარაფეტდინოვმა — 13.50,8. ი. ლუსისმა, ფესის ტრავმის მიუხედავად, შუბის ტყორცნაში II ადგილი მოიპოვა — 80,78 მ. მას მხოლოდ დ. ტრევისმა (დიდი ბრიტანეთი) აჯობა — 83,44.

ამრიგად, ციურიხის ნახევარფინალიდან ფინალში საფრანგეთისა და სსრ კავშირის გუნდები გავიდნენ.

ვინ არიან სხვა ფინალისტები? სარაევოში, სადაც გფრ-ის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, იუგოსლავიისა და ბულგარეთის გუნდები იბრძოდნენ, საგზურები გფრ-ისა (97 ქულა) და იტალიის (82,5) გუნდებმა მიიღეს.

ჰელსინკის ნახევარფინალიდან თასისთვის სამი გუნდი იბრძოლებს: გდრ-ის (99 ქულა), პოლონეთის (92) და IV ადგილზე გასული ჩეკიის (65) კოლექტივები. შვედებს ეს უპირატესობა დებულებით მიენიჭათ, როგორც ფინალური შეჯიბრების მასპინძლებს.

ჰელსინკის სტადიონზე ნაჩვენები შედეგებიდან აღსანიშნავია პოლოხეული სპრინტერის ა. ნოვოშჩის წარმატება 100 (10,2) და 200 (21,0) მეტრზე რბენაში, რ. ბრუხისა (შვეიცია) — ბადროს ტყორცნაში — 62,76 მ, მ. შტოლეფი — შუბის ტყორცნაში — 87,50 მ (მან მსოფლიო რეკორდსმენს, ფინელ კინუნენს. 4,20 მ მოუგო), ჯ. ბრეზენიკისა — ბირთვის კვრაში — 20,36, ვ. ნორდვიგისა (ყველა — გდრ) — ჭოკით ხტომაში — 535 სმ.

ქალთა შეჯიბრებაში ყველას სსრ კავშირისა (79 ქულა) და პოლონეთის (71) მძლეოსნებმა აჯობეს. 200 მეტრზე იმარჯვა ნ. ბესფამილნაიამ — 23,8, 4×100 მეტრზე ესტაფეტაში — ლ. ჟარკოვას, ლ. გოლუბაზოვას, მ. ნიკიფოროვასა და ბესფამილნაიას კვარტეტმა — 44,3. 400 მეტრზე რბენაში ვ. პოპკოვამ (53,4) პირველობა მხოლოდ დ. გოვონის (იტალია) დაუთმო — 53,2. ნ. ჩიჟოვამ ბირთვი 18,89 მეტრზე ჭკრა, თ. დანილოვამ კი ბადროს ტყორცნაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 62,54 მ. მან ოლიმპიურ ჩემპიონს, რუმინელ ლ. მანოლიუს 6 მეტრით აჯობა.

ბერლინის ნახევარფინალიდან ფინალში გავიდნენ: გდრ (84) და დიდი ბრიტანეთი (73). აქ მასპინძელთა წარმომადგენელმა, 20 წლის რ. მაისნერმა 100 მ 11 წამში (მსოფლიო რეკორდის გამეორება), ხოლო 200 მ 22,7 წამში (გდრ-ის რეკორდის გამეორება) გაირბინა. მისმა თანაგუნდელებმა მაღალი შედეგი მოიპოვეს 4×400 მეტრზე ესტაფეტაში — 3.32,0 (გდრ-ის ახალი რეკორდი). წყვეულს ასე სწრაფად მსოფლიოში არავის ურბენია. 400 მეტრზე რბენაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა კ. ბესონმა (საფრანგეთი) ამჯერად 52,7 წამი აჩვენა, მ. შერვუდი (დიდი ბრიტანეთი) 667 სმ სიგრძეზე გადახტა.

ჰერფორდში (გფრ) მასპინძლებმა 74, ხოლო უნგრელებმა 52 ქულა მოაგროვეს და ფინალში გავიდნენ. ამ ნახევარფინალიდან აღსანიშნავია 800 მეტრზე შეჯიბრებაში მსოფლიოს ექსრეკორდსმენის ვ. ნიკოლიჩისა (იუგოსლავია) და მასპინძელ ჰ. იანცის დუელი, რომელიც იანცის გამარჯვებით დამთავრდა — 2.04,1. ნიკოლიჩის დროა 2.05,2.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

თბილისის სპორტულ ბაზებზე

რადიოსპორტი. დოსაფის რესპუბლიკური კომიტეტის რადიოკლუბი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 53). **6-9 აგვისტო. სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მრავალჭიდში.** მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

5

უე 04357